ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე - ემზარ პაქსაძე

კოლეგიის წევრი - ირაკლი კორძახია

კოლეგიის წევრი - კახაბერ წერეთელი

საჩივრის ავტორი: ნ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 18.01.2012

საჩივრის რეგისტრაციის N006/12

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. ა.–ს მიმართ / სიითი №----/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. ა.-ს მიმართ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2012 წლის 18 იანვარს ეთიკის კომისიას განცხადებით მომართა ნ. მ.–მ და მოითხოვა ადვოკატ ლ. ა.–ს მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2010 წლის ნოემბერის ბოლოს, ადვოკატმა ლ. ა.–მ შესთავაზა დახმარება პატიმრის შეწყალებულთა სიაში „ჩასმაზე“, რისთვისაც მოითხოვა 25 000 ლარი. საჩივრის ავტორის განცხადებით, პატიმარი დღემდე იხდის სასჯელს, ხოლო ადვოკატმა ერთი წლის განმავლობაში გადახდილი თანხის მხოლოდ ნაწილი დააბრუნა უკან.

1.3 ნ. მ.–ს საჩივართან დაკავშირებით, 2012 წლის 3 თებერვალს ეთიკის კომისიის სხდომა დაინიშნა და საჩივრის ავტორს სატელეფონო შეტყობინებით ეცნობა სხდომის გამართვის დრო და საათი.

1.4 2012 წლის 31 იანვარს საჩივრის ავტორმა განცხადებით მომართა ეთიკის კომისიას და ითხოვა დანიშნული სხდომის გადადება. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატსა და მას შორის მიმდინარეობს მოლაპარაკება და ადვოკატი საბოლოოდ, პრობლემის მოგვარებას 10 დღის ვადაში დაპირდა. შესაბამისად, საჩივრის ავტორმა დრო ითხოვა ადვოკატთან მოლაპარაკებისთვის.

1.5 ეთიკის კომისიამ სხდომა გადადო საჩივრის ავტორის მოთხოვნის საფუძველზე.

1.6 2012 წლის 14 თებერვალს საჩივრის ავტორმა განცხადებით მომართა ეთიკის კომისიას და განცხადა, რომ მასსა და ადვოკატს შორის მოპალარაკება არ შედგა და „ჩიხში შევიდა“.

1.7 ეთიკის კომისიამ 2012 წლის 17 თებერვალს ჩანიშნა ეთიკის კომისიის სხდომა, რომლის თაობაზე საჩივრის ავტორს სატელეფონო შეტყობინების გზით ეცნობა. ეთიკის კომისიის სხდომაზე გამოცხადდა საჩივრის ავტორი და წერილობითი ახსნა-განმარტება მისცა კომისიას საჩივარში მოყვანილ გარემოებებთან დაკავშირებით.

1.8 საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტებით, ადვოკატ ლ. ა.–თან 2010 წლის 27 აპრილს გააფორმა ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების თაობაზე. მხარეებს შორის არსებული შეთანხმების მიხედვით, ადვოკატს უნდა წარედგინა სააპელაციო საჩივარი, საჩივრის ავტორის სიძის - ჯ. მ.–ის ინტერესების დასაცავად სისხლის სამართლის საქმეზე. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა წარადგინა სააპელაციო საჩივარი და კვალიფიციურად დაიცვა კლიენტის ინტერესები სააპელაციო სასამართლოში.

1.9 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2010 წლის ზაფხულში სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. საჩივრის ავტორის თხოვნით ადვოკატმა უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, თუმცა უზენაეს სასამართლოში, 2010 წლის ოქტომბრის თვის გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

1.10 საჩივრის ავტორის განცხადებით, საქმის წარმოებისათვის ადვოკატს მომსახურებაში 5300 ლარი გადაუხადა და მას აღნიშნულ თანხასთან დაკავშირებით ადვოკატთან პრეტენზია არ გააჩნია.

1.11 საჩივრის ავტორის განცხადებით, უზენაეს სასამართლოში საქმის წარმოების დასრულების შემდეგ დაუკავშირდა ადვოკატი ლ. ა. და შესთავაზა დახმარება ჯ. მ.–ს შეწყალების საკითხის დადებითად გადაწყვეტის მიზნით. ადვოკატის განმარტებით, ჰყავდა ნაცნობი, რომელიც 25 000 ლარის სანაცვლოდ უზრუნველყოფდა საჩივრის ავტორის სიძის, ჯ. მ.–ს შეწყალების საკითხის დადებითად გადაწყვეტას. საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტებით, რა გზით მოახერხებდა ადვოკატის „ნაცნობი“ შეწყალების საკითხის გადაწყვეტას მისთვის უცნობია, ადვოკატს ამის თაობაზე განმარტება არ გაუკეთებია.

1.12 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატის განმარტებით, სრული თანხა გადაეცემოდა „მის ნაცნობს“ და ჯ. მ. 2010 წლის 31 დეკემბრამდე შეწყალებით გათავისუფლდებოდა საპატიმრო დაწესებულებიდან.

1.13 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატის სიტყვები გადასაცა მის მძახლებს - დ. და ტ. მ.–ებს, რომელთაც იმ პირობით, რომ ჯ. მ. გათავისუფლდებოდა თანხმობა განაცხადეს თანხის გადახდაზე. დ. და ტ. მ.–ები თავად ჩამოვიდნენ თბილისში ნოემბრის ბოლოს და შეხვდნენ ადვოკატ ლ. ა.–ს მის ოფისში. საჩივრის ავტორის განცხადებით, შეხვედრას ნამდვილად ესწრებოდნენ დ. მ., ნ. მ., ლ. ა., ასევე ესწრებოდნენ ან საჩივრის ავტორის ქალიშვილი ა. მ. და ან ტ. მ.. შეხვედრაზე ადვოკატი ლ. ა. კიდევ ერთხელ დაპირდა, რომ 25 000 ლარის სანაცვლოდ შეწყალების წესით გათავისუფლდებოდა ჯ. მ..

1.14 საჩივრის ავტორის განმარტებით, ვინაიდან თანხა საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო და მისი სიძის მშობლებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა თანხის დაუყოვნებლივ გადახდის, როგორც ამას ადვოკატი ლ. ა. ითხოვდა, მისი სიძის მშობლებს უნდა აეღოთ კრედიტი და გაეყიდათ ბინა. ამიტომ, საჩივრის ავტორის კუთვნილი თანხა 25 000 ლარის ოდენობით, რომელიც იმ დღეს გამოიტანა ბანკიდან, დ. მ.–მ, საჩივრის ავტორის თანდასწრებით გადასცა ადვოკატ ლ. ა.–ს მისსავე ოფისში. ადვოკატმა თანხის მიღებისას, კვლავ დაადასტურა, რომ შეწყალება 2010 წლის 31 დეკემბრამდე გადაწყდებოდა. ამავე დროს, ადვოკატმა განუმარტა, რომ დაზღვევის მიზნით, გადაცემულ 25 000 ლარს შეიტანდა ბანკში თავის და „იმ პირის“ ერთობლივ საბანკო ანგარიშზე. ამდენად, „ის“, საჩივრის ავტორისთვის დაუდგენელი პირი ვერ შეძლებდა ლ. ა.–ს გარეშე თანხის გამოტანას საბანკო ანგარიშიდან. საჩივრის ავტორის განცხადებით, აღნიშნულ შეხვედრაზე ადვოკატ ლ. ა.–ს უთხრა, რომ ჯერ გაეკეთებინა საქმე და შემდეგ გადაცემდნენ თანხას, რაზედაც ადვოკატმა უპასუხა, რომ მის ახლობელს სჭირდებოდა ფინანსური გარანტია. საჩივრის ავტორის განმარტებით, იძულებული გახდნენ, რომ თანხა გადაეცათ ადვოკატისათვის.

1.15 2010 წლის 31 დეკემბრამდე, საჩივრის ავტორის სიძე არ მოხვდა შეწყალებულ პირთა სიაში, რის შემდეგაც ადვოკატმა ლ. ა.–მ საჩივრის ავტორს განუმარტა, რომ მისი სიძე ნამდვილად იყო შეწყალებულ პირთა სიაში და შეწყალებას ხელი მოეწერებოდა საშობაოდ, ანუ 2011 წლის 7 იანვრისათვის, შემდგომში ადვოკატის განმარტებით შეწყალება მოხდებოდა 14 იანვრისათვის, შემდეგ სააღდგომოდ და ა.შ.

1.16 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2011 წლის იანვრის ბოლოდან 2011 წლის მარტის დასაწყისამდე იმყოფებოდა ბელგიაში, რა დროსაც ლ. ა.–თან სისტემატური კონტაქტი ჰქონდა დ. მ.–ს, რომელსაც ადვოკატი მუდმივად აიმედებდა. ადვოკატის განცხადებით, გამზადებული საბუთები იდო პრეზიდენტის მაგიდაზე და დარჩენილი იყო მხოლოდ ხელმოწერა, რასაც უახლოეს მომავალში მიაღწევდნენ. რამდენიმე თვის შემდეგ, როცა დარწმუნდნენ, რომ ადვოკატის დანაპირები ტყუილი იყო, საჩივრის ავტორმა და მისი სიძის მშობლებმა დაიწყეს ადვოკატისაგან თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნა.

1.17 საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში ადვოკატ ლ. ა.–თან ჰქონდა წერილობითი ურთიერთობა, რისი დამადასტურებელი ამონაწერიც წარმოადგინა ეთიკის კომისიაში. საჩივრის ავტორის განცხადებით, მიუხედავად ადვოკატის დანაპირებისა, რომ თანხას არ გადასცემდა მესამე პირს სანამ საქმე არ გაკეთდებოდა, ადვოკატმა განუმარტა, რომ თანხის ნახევარი უკვე გადაცემული ჰქონდა „იმ პირისათვის", რომელიც უარს ეუბნებოდა თანხის დაბრუნებაზე თანხის უქონლობის გამო, ხოლო თანხის მეორე ნახევარის ანუ 12 500 ლარის დაბრუნებაზე, რომელიც იდო ანგარიშზე, თავად ადვოკატმა განაცხადა უარი საჩივრის ავტორისათვის გაუგებარი მოტივით.

1.18 საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტებით, იგი ითხოვდა ადვოკატისაგან წარმოედგინა ამონაწერი ერთობლივი ანგარიშიდან, რათა დარწმუნებულიყო, რომ თანხა ნამდვილად იყო ანგარიშზე. ასევე, საჩივრის ავტორი ითხოვდა იმ სარგებლის დაბრუნებას, რომელიც ამ დროის განმავლობაში დაერიცხებოდა შეტანილ თანხას, სწორედ ეს მოთხოვნებია ასახული მის მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ ამონაწერში. საჩივრის ავტორის განმარტებით, ასევე ითხოვდა ადვოკატისაგან იმ პიროვნების ვინაობის გამხელას, რომელსაც უნდა მოეგვარებინა შეწყალების საკითხი და ჰქონდა წაღებული 12 500 ლარი, თუმცა მიუხედავად სისტემატური მოთხოვნებისა, ადვოკატმა ლ. ა.–მ საჩივრის ავტორის არც ერთი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

1.19 საჩივრის ავტორის განმარტებით, ლ. ა.–სათვის გადაცემული 25 000 ლარი ესაჭიროებოდა კომერციული საქმიანობის გასაგრძელებლად და საჩივრის ავტორის მძახალმა აიღო კრედიტი და ეტაპობრივად გაუსტუმრა თანხა. საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი და მისი მძახლების მოთხოვნის შედეგად ადვოკატ ლ. ა.–მ დაუბრუნა 22 000 ლარი, თანხის უმეტესი ნაწილი სხვადასხვა პირების სახელით საჩივრის ავტორის ანგარიშზე, TBC ბანკში იქნა გადმორიცხული.

1.20 საჩივრის ავტორის განცხადებით, ლ. ა.–საგან დარჩენილი თანხის უკან დაბრუნების შემთხვევაში, ადვოკატის მიმართ პრეტენზიები არ ექნება.

1.21 2012 წლის 21 თებერვალს ნ. მ.–მ მომართა ეთიკის კომისიას განცხადებით და განმარტა, რომ მასსა და ადვოკატ ლ. ა.-ს შორის დავა აღარ არსებობს და ადვოკატის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია. საჩივრის ავტორმა ითხოვა დისციპლინური წარმოების შეწყვეტა.

2. ადვოკატის პოზიცია:

ადვოკატ ლ. ა.–ს ეცნობა ნ. მ.ს 2012 წლის 18 იანვრის საჩვართან დაკავშირებით. ადვოკატი არ გამოცხადდა ეთიკის კომისიის 2012 წლის 17 თებერვლის სხდომაზე და წერილობითი ახსნა-განმარტებაც არ წარმოუდგენია.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობები:

3.1 საქმეში წარმოდგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

3.1.1 ადვოკატი ლ. ა.ს არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №----/

3.1.2 ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეწყვეტილი, ან შეჩერებული.

3.1.3 ნ. მ.–მ ეთიკის კომისიაში საჩივარი შემოიტანა 2012 წლის 28 იანვარს.

4. სამართლებრივი დასაბუთება:

4.1 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ეთიკის კომისიის 2012 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. მ.–ს საჩივართან დაკავშირებით, დანაშაულის ნიშნების არსებობის მიზეზით შეჩერდა დისციპლინური წარმოება და საქმის მასალები გადაეგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურას.

4.2 2012 წლის 21 თებერვალს ნ. მ.–მ განცხადებით მომართა ეთიკის კომისიას და ითხოვა დისციპლინური წარმოების შეწყვეტა.

4.3 ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ნ. მ.–ს საჩივართან დაკავშირებით უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება, რადგან „დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 32-ე მუხლის მიხედვით, დისციპლინური წარმოების შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს, თუ საჩივრის ავტორი უარს აცხადებს საჩივარზე.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 32-ე მუხლით და გადაწყვიტა:

1. შეწყდეს დისციპლინური წარმოება ნ. მ.-ს 2012 წლის 18 იანვრის N006/12 საჩივართან დაკავშირებით.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. გადაწყვეტილება დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე - ემზარ პაქსაძე

კოლეგიის წევრი - ირაკლი კორძახია

კოლეგიის წევრი - კახაბერ წერეთელი

IV კოლეგიის წევრის ირაკლი კორძახიას
განსხვავებული აზრი

ეთიკის კომისიის 2012 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებაზე დისციპლინური წარმოების შეჩერების თაობაზე

1. ვეთანხმები რა კომისიის გადაწყვეტილებას დისციპლინური საქმის N006/12 შეჩერების თაობაზე, არ ვეთანხმები ამ შეჩერების სამართლებრივ საფუძველს და ამ ეტაპზე გადაწყვეტილებას საქმის საქართველოს მთავარი პროკურატურისთვის გადაგზავნის თაობაზე, რადგან შეუძლებელია დადგენა, რომ ადვოკატის ქმედებაში აშკარა დანაშაულის ნიშნებია და მოცემული საკითხის გამოკვლევა სცილდება ეთიკის კომისიის უფლებამოსილებას, რადგან:
    i. საქმეში წარმოდგენილია მხოლოდ განმცხადებლის განცხადება და ახსნა–განმარტება, ხოლო სხვა საბუთების, მაგ. ელექტრონული მიმოწერის წარმოდგენის ფორმა არ იძლევა მათი ავთენტურობის დადასტურების შესაძლებლობას,
    ii. არ არის წარმოდგენილი საბანკო ანგარიშის ამონაწერი, რაც დაადასტურებდა განმცხადებლის მიერ მოყვანილ ფაქტებს სხვადასხვა პირების მხრიდან თანხის ჩარიცხვების თაობაზე, ასევე არ არის წარმოდგენილი შესაძლო მოწმეების ახსნა–განმარტებები, რაც დაადასტურებდა განმცხადებლის მიერ მოყვანილ ფაქტებს ადვოკატთან მოლაპარაკების პირობების თაობაზე.
2. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლის ახსნა–განმარტებაზე დაყრდნობით შესაძლებელია ეთიკის კომისიას შეექმნა გარკვეული ვარაუდი ადვოკატის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენაზე, მაგრამ ამ ვარაუდის საფუძვლიანობის დასადგენად აუცილებელიად მიმაჩნია *ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით განსაზღვრული* საპროცესო მოქმედებების ჩატარება, სანამ მიღებული ან უარყოფილი იქნება გადაწყვეტილება საქმის საქართველოს მთავარი პროკურატურისთვის გადაგზავნასთან დაკავშირებით, მათ შორის და არაამომწურავად:
    i. ადვოკატისთვის ახსნა–განმარტების ჩამორთმევა;
    ii. განმცხადებლისთვის საბანკო ანგარიშიდან ამონაწერის წარმოდგენის მოთხოვნა, რომელიც დაადასტურებს მის ახსნა–განმარტებაში წარმოდგენილ ფაქტებს
    iii. იმ პირების დაკითხვა მოწმეებად, რომლებიც განმცხადებლის განმარტებით ესწრებოდნენ ადვოკატთან მოლაპარაკებებს.
3. მიუხედავად იმისა, რომ ეთიკის კომისიას მტკიცებულებებს წარუდგენენ მხარეები, კომისიას აქვს უფლებამოსილება საკუთარი ინიციატივით გამოითხოვოს მტკიცებულებები, თუ ჩათვლის, რომ მათი განხილვა მნიშვნელოვანია საქმისთვის, ამ შემთხვევაში ეთიკის კომისიის 29/09/2011 სხდომის #05/11 ოქმის 1.ა) საკითხზე მეორე განმარტებითი გადაწყვეტილების შესაბამისად არ აქვს მნიშვნელობა მხარის მხრიდან მტკიცებულებების წარმოუდგენლობის მიზეზს.
4. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ უნდა შეჩერდეს #006/12 საქმეზე წარმოება *ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების* 21 მუხლის 1–ლი ნაწილის ა)

პუნქტის საფუძველზე, რადგან დისციპლინური საქმის შესწავლის პერიოდში დისციპლინური კოლეგიისგან დამოუკიდებლად წარმოიშვა ობიექტური სირთულეები, კერძოდ მტკიცებულებების შესაგროვებლად საჭიროა დამატებითი დრო და მხოლოდ დამატებითი მტკიცებულებების გამოკვლევის შემდეგ უნდა იქნას მიღებული ან უარყოფილი გადაწყვეტილება საქმის საქართველოს მთავარი პროკურატურისთვის გადაგზავნასთან ან სხვა საპროცესო მოქმედებებთან დაკავშირებით.

ირაკლი კორძახია

კოლეგიის წევრი